ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმით შესახებ

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი – კომისიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი – კომისიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.04.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/14

შეკითხვა:

ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ და ადვოკატმა. მწვავე დებატების შუაგულში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მხრიდან ადვოკატის მიმართ წარმოითქვა შემდეგი განცხადებები: "სირცხვილი ხარ ადვოკატთა ასოციაციისათვის... შენ საცოდაო... "ოცნების აგენტი"... რას გიზამ იცი?.. "

ამასთან დაკავშირებით, რამდენად ეთიკურია შეფასების მიცემა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მხრიდან ასოციაციის სახელით? (სირცხვილი ხარ ადვოკატთა ასოციაციისათვის...)" არის თუ არა ადვოკატისთვის დამამცირებელი და ღირსების შემლახველი სამოქალაქო საზოგადოების წინაშე პირდაპირ ეთერში გახმოვანებული მიმართვა "შენ საცოდაო..."?

აყენებს თუ არა შეურაცხყოფას ამ სიტყვებით: „ოცნების აგენტი" – იმ მოსახლეობის გრძნობებს, მათ შორის ადვოკატის რომლის მიერ იქნენ არჩეულები მმართველი პარტიის სახელით დეპუტატები პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტი?

"რას გიზამ იცი?.." – მოიცავს თუ არა ეს ფრაზა მუქარას? შეიძლება თუ არა ამაზე გაჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომელიც მოდის არჩეული მაღალი რანგის თანამდებობის პირიდან?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტი: „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შრომის ანაზღაურებას იღებს ასოციაციის სახსრებიდან და მას თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა.“

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლი განსაზღვრავს რეკომენდაციის არსს და საკითხებს, რომელზეც ეთიკის კომისია კომპეტენტურია გასცეს პასუხი. რეკომენდაცია შეიძლება იყოს:

1. ნორმის განმარტება.

2. მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

3. მოსაზრება კონკრეტული შესაძლო ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის სარეკომენდაციო საკითხებს. ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემის წესი განსაზღვრულია მხოლოდ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მიხედვით.

ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვა არ ეხება ჩამონათვალში აღნიშნულ საკითხებს. მოცემული შეკითხვა ეხება საკითხს, შეკითხვაში აღნიშნული ქმედებების განხორციელებისას დაირღვა თუ არა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, მოქმედებს არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. მას „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, აკრძალული აქვს საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. აღნიშნული შეკითხვა არ ეხება ადვოკატის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევას. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

გადაწყვეტილება:

რეკომენდაციის გაცემა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ქმედებების შეფასებასთან დაკავშირებით, არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, ეთიკის კომისია, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არ გასცემს რეკომენდაციას აღნიშნულ საკითხზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/